საინფორმაციო ბიულეტენი №15

დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, 2016

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

GHRN
ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK

ძვირფასო მკითხველო,

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს.

შეხვედრა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში

4 თებერვალს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ოფისში შეხვედრა გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული ნარკოსცენის, კერძოდ კი ბოლო პერიოდში ე.წ. წიწვებისგან კუსტარულად დამზადებული ხსნარების ინექციური მოხმარების და მისგან გამოწვეული ზიანის განხილვას. სამუშაო შეხვედრას, რომელსაც ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის აივ/შიდსის პრევენციის პროექტის დირექტორი მაკა გოგია უძღვებოდა ესწრებოდნენ ქსელის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბენეფიციარები, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის თანამშრომლები, ნარკოლოგები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პირველად საქართველოში „ეფედრას ვინტის“ მოხმარება 2015 წლის გაზაფხულიდან დაფიქსირდა და დღეს მისი მოხმარების მასშტაბი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეფედრა ველურად ხარობს, რაც კიდევ უფრო ზრდის მასზე ხელმისაწვდომობას. სიტუაციას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ ამის მომხმარებლები ძირითადად გამოუცდელი ახალგაზრდები არიან. ნარკოლოგების აზრით ამჟამად სიტუაცია კონტროლის ფარგლებს სცდება და საკმაოდ სავალალო პროგნოზებისკენ გვიბიძგებს: თუკი ადრე ამ ნივთიერების თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები მოიხმარდნენ, ახლა მოხმარების ფაქტები რეგიონებშიც დაფიქსირდა. შესაბამი-

სად, იმატა ამ ნარკოტიკის მომხმარებელთა რიცხვმა. ნარკოტიკების მომხმარებლები ეფედრას გარკვეული ხარისხის თრობის მისაღებად, სხვადასხვა კომბინაციებით იყენებენ (მცენარე შეიცავს ალკოილოიდ ეფედრინს). ადიქტიური პოტენციალის გასაძლიერებლად, ეფედრას ხშირად მოიხმარენ საძილე ტაბლეტებთან, სუბოქსონთან და მეთადონთან ერთად. ახალი ნარკოტიკი ხასიათდება დამოკიდებულების სწრაფი განვითარებით, იწვევს შეუქცევად სამედიცინო პრობლემებს: აბსცესებს, სეფსისს, განგრენას, გულის მწვავე უკმარისობას, კანის და სისხლძარღვთა სისტემის ანთებებს, ემბოლიას, დეპრესიული ფონის მატებას, ფსიქიოზს, სუიციდისადმი მიდრეკილებას. ექსპერტთა შეფასებით, მისი ზემოქმედება და მისგან მიღებული ზიანი ძალიან ჰგავს კუსტარულ ნარკოტიკ „ვინტს“.

ექსპერტთა აზრით წიწვოვანის მომხმარებელთა ცალკეული ქეისების არსებობის მიუხედავად, გლობალურად ჯერ არ არის ცნობილი თუ რა ზიანის მოიტანს ამ ნარკოტიკის მოხმარება. რთულია ზიანის განსაზღვრა. საზღვარგარეთ ეს ასე ხდება: ისაზღვრება როგორია ნარკოტიკული ნივთიერების მწვავე მოქმედება, რამდენად სახიფათოა, იწვევს თუ არა მისი ზედოზირება ფსიქოზს, ლეტალობას, ინექციურია თუ არა, რა სახის დამოკიდებულებას აყალიბებს და სხვ. რადგან ეფედრას ადიქტიური პოტენციალი მაღალია, შესასწავლია თუ როგორ მოქმედებს იგი ადამიანის ორგანიზმზე ხანგრძლივი მოხმარების შემთხვევაში, ტოქსიკურია თუ არა. ყველა კუსტარული ნარკოტიკი მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა და კიდევ უფრო მავნე ხდება, როდესაც ქიმიური ნივთიერების დამატება სჭირდება.

შეხვედრაზე ნარკოლოგებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ საქართველოში სხვადასხვა ნივთიერებით გამოწვეული აღკვეთის მდგომარეობის მკურნალობა დეტოქსიკაციის მოკლევადიანი კურსით შემოიფარგლება და ეს მაშინ, როდესაც ევროპაში ამავე ტიპის მკურნალობა და შემდგომი რეაბილიტაცია, სულ მცირე, 6 თვე მაინც გრძელდება.

თანამშრომლობის შედეგად ზიანის შემცირების სფეროში მომუშავე სპეციალისტები, ნარკოლოგები და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ მაქსიმალურად ეცდებიან თანხების მოზიდვას „წიწვების ხსნარის“ ტოქსიკურობის შესასწავლად ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე. შეხვედრაზე იმსჯელეს ასევე იმ საინფორმაციო ვაკუუმის აღმოფხვრაზე, რომელიც საზოგადოებაში არსებობს. უახლოეს მომავალში აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით ზიანის შემცირების სერვის ცენტრებში ნარკოლოგების და ექსპერტების მონაწილეობით საინფორმაციო საგანმანათლებლო

შეხვედრები დაიგეგმა. ასევე მომზადდება საინფორმაციო მასალები და პროგრამის ბენეფიციარებს შორის გავავრცელებთ. დაბოლოს, სამუშაო შეხვედრის მონაწილეები მიესალმნენ ასეთი სახის შეხვედრებს და აღნიშნეს, რომ სამთავრობო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება ნარკომოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმატებით გადაჭრა.

შეხვედრა შსს სამინისტროს წარმომადგენლებთან

ამა წლის 29 იანვარს შინაგან საქმეთა სამინისტროში ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენლების ინიციატივით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას შსს მინისტრის მოადგილეები: ბ-ნი ბესო ამირანაშვილი და არჩილ თალაკვაძე, დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან ირმა ხონელიძე, ქეთი სტვილია, სანდრო ასათიანი, გიორგი სოსელია და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის და დაავადებათა კონტროლის ცენტრის წარმომადგენლების მიერ გაკეთდა მოხსენება ზიანის შემცირების პროგრამების მნიშვნელობაზე, ინფექციური დაავადებების, პრევენციის, დროული დიაგნოსტიკის, რეფერირების და მკურნალობის დროს სათანადო მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე და C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მნიშვნელოვან როლზე. შეხვედრაზე იმ პრობლემური საკითხების ირგვლივ წარიმართა მსჯელობა, რომელსაც ზიანის შემცირების პროგრამა პოლიციასთან ურთიერთობისას აწყდება. განხილულ იქნა დეკემბერ-იანვრის თვეებში სამართალდამცველი პირების მიერ ბათუმის სერვის ცენტრის ბენეფიციარების დევნის, თვალთვალის და ნარკოტესტირებაზე იძულებით გადაყვანის ფაქტები, ასევე წინა თვეებში სხვა სერვის ცენტრებში სოციალური/აუთრიჩ მუშაკების დაკავების და ცენტრების მანქანების თვალთვალის შესახებ არსებული ფაქტები.

შეხვედრაზე ქსელის წევრებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მეტად დაბალანსებული და კოორდინირებული მუშაობა ყველა დონის დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა პროგრამების გამართულ მუშაობას ხელი არ შეეშალოს და თუ აღნიშნული შემთხვევები მომავალშიც გაგრძელდება, ეს ბენეფიციარების დაკარგვას გამოიწვევს რაც გლობა-

ლური ფონდის პროგრამის განხორციელებას საფრთხეს შეუქმნის. მხარეებმა იმსჯელეს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის და ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის პროექტის მხარდაჭერაზე, რომელიც მობილური ამბულატორიების მიერ მაღალი რისკის ჯგუფის ბენეფიციარების მომსახურებას გულისხმობს. შსს სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ ფაქტებზე მოახდენენ რეაგირებას და შეთანხმდნენ გარკვეულ პირობებზე, რომ ამბულატორიებში და სერვის ცენტრებში მისულ ბენეფიციარებს სერვისის მიღების პროცესში და შემდგომ პრობლემებს არ შეუქმნიან. მათ ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნარკოდანაშაულთან ბრძოლა იქნება უკომპრომისო. ნებისმიერი ადამიანი თუ დაჯგუფება, რომელიც ნარკოდანაშაულში იქნება ჩართული, დროულად იქნება გამოვლენილი და პასუხისმგებლობაში მიცემული. მხარეებმა ერთხმად გამოხატეს მზაობა და სურვილი გააღრმავონ თანამშრომლობა. შსს მინისტრის მოადგილეების თქმით, პოლიციასთან მსგავსი გართულებების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოვახდინოთ რეაგირება და პირადად ჩავაყენოთ საქმის ყურსში ბესო ამირანაშვილი. მათი დაპირების თანახმად, სამართალდამცავი ორგანოები მომავალში ხელს შეუწყობენ ზიანის შემცირების სერვისებისთვის აუცილებელი და ადეკვატური გარემოს უზრუნველყოფას.

„ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელის“ (GeNPUD) შეხვედრა

2015 წლის 18-20 დეკემბერს

„ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელმა“ (GeNPUD) სასტუმროში „ლოპოტას ტბა“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანს ქსელის სტრატეგიული განვითარების და ოპერაციული გეგმის შემუშავება წარმოადგენდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს GeNPUD-ის გამგეობის წარმომადგენლებმა, ქსელის აქტივისტებმა და მხარდამჭერებმა. შეხვედრას უძღვებოდა საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“-ს წარმომადგენელი კახაბერ კეპულაძე.

შეხვედრაზე ქსელის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები განისაზღვრა, მოხდა სამომავლო ხედვების ჩამოყალიბება და ნარკოპოლიტიკის სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა. სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ასევე ნარკომოხმარების და

აივ ინფექციის პრევენციის საკითხთა პრობლემური რეალიები, მოხდა გარემოს ანალიზი და სფეროში არსებულ პრობლემათა იდენტიფიცირება. სამდღიანი მუშაობის შედეგად ქსელის წევრების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დოკუმენტი საფუძვლად დაედება GeNPUD-ის საადვოკაციო საქმიანობას მომდევნო წლებში, რომელიც მიმართულია ნარკოტიკების მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და დამსჯელობითი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისკენ. ღონისძიება გლობალური ფონდის (Global Fund) და „მსოფლიო ექიმები – საფრანგეთის“ (MDM) ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

„რომ არა ძლიერი პაციენტთა ორგანიზაციები და მედიის მხარდაჭერა, რომელსაც მოჰყვა სასჯელაღსრულების და ჯანდაცვის სამინისტროების შესაბამისად ძლიერი პასუხი, საქართველოში C ჰეპატიტის პროგრამის წარმატება რა თქმა უნდა მოვიდოდა, მაგრამ ბევრად უფრო გვიან და ქვეყანა ვერ დაიკავებდა მსოფლიოში იმ წამყვან პოზიციას, რაც დღეს გვაქვს“ – სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მარიამ ჯაში.

„ჰეპა პლიუსი“ იუბილარია

2015 წლის 11 დეკემბერს, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრში, ორგანიზაციის „ჰეპა პლიუსი“ 5 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ სათემო ორგანიზაციების, სფეროში მომუშავე სახელმწიფო, არასამთავრობო, დონორი ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლები. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰეპა პლიუსი“ ხელმძღვანელმა მანანა სოლოღაშვილმა და ისაუბრა ორგანიზაციის მიზნებზე და ამოცანებზე. მან აღნიშნა, რომ „ჰეპა პლიუსი“ C ჰეპატიტით ინფიცირებულ პაციენტთა პირველი თვითორგანიზაციაა, რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროა: C ვირუსით დაავადებულ პაციენტებზე ზრუნვა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების ინფორმირებულობა, წამალდამოკიდებულებთან მუშაობა – ზიანის შემცირების პრინციპებით და სხვა.

საგულისხმოა, რომ თავისი არსებობის მანძილზე „ჰეპა პლიუსი“ არაერთ პაციენტს დაეხმარა. ორგანიზაციის წარმომადგენლები კი, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ადვოკატირების ჯგუფთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ C ჰეპატიტის ხელმისაწვდომი მკურნალობის და დიაგნოსტიკის (ადვოკატირების) სფეროში. წლების განმავლობაში, პაციენტთა თემი ცდილობს C ჰეპატიტი წარმოაჩინოს – როგორც პრობლემა და ამისათვის, პროტესტის სხვადასხვა ფორმას, საინფორმაციო კამპანიებს და მასობრივ ღონისძიებებს იყენებს. შედეგად კი, მათ ათასობით პაციენტის მობილიზება შეძლეს და C ჰეპატიტი გახდა ცნობადი პრობლემა,

რომლის უგულებელყოფაც მთავრობას არ შეეძლო. მთავრობამ კი, პაციენტთა მკურნალობის თაობაზე პოლიტიკური ვალდებულება აიღო. აღსანიშნავია, რომ დღეს, C ჰეპატიტის მკურნალობის ხელმისაწვდომობა, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის კოორდინირებული მუშაობის შედეგია.

საღამოზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამირან გამყრელიძე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი და აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაციების დიდ როლი C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ხელმისაწვდომობაში. „C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის, პირველი ეტაპის ღონისძიებებში 5 ათასზე მეტი პაციენტია ჩართული. შედეგებით კმაყოფილი ვართ და ამჟამად, 40-ზე მეტმა ადამიანმა დაასრულა მკურნალობა. უკვე ხელმოწერილია მეორე ხელშეკრულებაც და მალე შემოვა საქართველოში ახალი მედიკამენტები, შედეგად კი, 20 ათასი ავადმყოფი განიკურნება. აუცილებელია, ქვეყანაში ყველა ადამიანმა იცოდეს თავისი სტატუსი, არის თუ არა ის ც ჰეპატიტის მატარებელი. ლაბორატორიები აღჭურვილია შესაბამისი აპარატურით და ამ ეტაპზე, 8 ათასამდე ადამიანმა გაიარა სკრინინგი, მაქსიმალური შედეგის მისაღწევად, აუცილებელია თითოეულმა მოქალაქემ ჩაიტაროს გამოკვლევა... ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, უნდა გამკაცრდეს მონიტორინგი სილამაზის სალონებში, რადგან ასეთ დაწესებულებებში ვირუსის გადაცემის დიდი საშიშროებაა. აღნიშნულ ინიციატივას, მხარი უნდა დაუჭიროს საზოგადოებამაც“, – აღნიშნა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორმა ამირან გამყრელიძემ.

ღონისძიებაზე საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ შსს მინისტრის მოადგილე ბ-ნი არჩილ თალაკვაძე და სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ქ-ნი მარიამ ჯაში C ჰეპატიტის მკურნალობა-დიაგნოსტიკის სფეროში, პაციენტთა თემის მხარდაჭერასა და თანამშრომლობაში შეტანილი წვლილისთვის. „რომ არა ძლიერი პაციენტთა ორგანიზაციები და მედიის მხარდაჭერა, რომელსაც მოჰყვა სასჯელაღსრულების და ჯანდაცვის სამინისტროების შესაბამისად ძლიერი პასუხი, საქართველოში C ჰეპატიტის პროგრამის წარმატება რა თქმა უნდა მოვიდოდა, მაგრამ ბევრად უფრო გვიან და ქვეყანა ვერ დაიკავებდა მსოფლიოში იმ წამყვან პოზიციას, რაც დღეს გვაქვს“, – განაცხადა შეხვედრაზე სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მარიამ ჯაშმა.

პაციენტთა სკოლა

2015 წლის 17 დეკემბერს თვითორგანიზაციაში „ჰეპა პლიუსი“ C ჰეპატიტის თანამედროვე მკურნალობის საკითხებზე პაციენტთა სკოლა გაიმართა, რომელსაც კლინიკა „ნეოლაბის“ ჰეპატოლოგი მაია ქაჯაია და ზიანის შემცირების აივ/შიდსის პრევენციის პროექტის დირექტორი მაკა გოგია უძღვებოდნენ.

15.01.2016 წ. პაციენტთა სკოლა და ფოკუს-ჯგუფი C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და თანამედროვე მკურნალობის შესახებ.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმატებული ნაბიჯები

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტს 2008 წლიდან ახორციელებს. 2014 წლის დეკემბრიდან აღნიშნული პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების გზით, ვინაიდან გრანტის ძირითად მიმღებს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი წარმოადგენს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება წელიწადში 3 მლნ ლარს აღემატება. სახელმწიფო შესყიდვების გზით ტენდერში მონაწილეობა გარკვეულ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული. ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი არამომგებიანი ორგანიზაციაა და მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია დონორთა დაფინანსებაზე, სახელმწიფო ტენდერით გათვალისწინებული პირობების შესრულება (საბანკო და საავანსო თანხის გარადნტია) მძიმე ტვირად აწვებოდა ქსელს და ქსელის წევრ პროექტის სუბ-კონტრაქტორ ორგანიზაციებს.

დეკემბრის თვეში ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წარმომადგენლების ეფექტური ადვოკატირების შედეგად გამოყენებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, მიწერილ იქნა წერილი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოში (ჯანდაცვის მინისტრის სახელზე) და ეთხოვა აღნიშნული ვალდებულებებისგან გათავისუფლება. შედეგად ქსელი განთავისუფლებულ იქნა ხელშეკრულების შესრულების გარანტიისაგან, რომელიც ხელშეკრულების ღირებულების 2% შეადგენდა. აღნიშნულის საფუძველზე, პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციებს მოუწევთ მხოლოდ საავანსო თანხის მოძიება და შესაბასი საბანკო ვალდებულებების დაფარვა, მოთხოვნის შემთხვევაში.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

**დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს
ელექტრონულ მისამართზე**
marinaasatiani@yahoo.com

ან

**მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და საქმიანობაში
მიღწეული წარმატებები მისამართზე:**

თბილისი, 1060, ჟ. შარტავას 24,
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ.: ოფისი: +995 322 37 21 60
ელ.ფოსტა: *info@hrn.ge*
ვებ-გვერდი: *www.hrn.ge*

GHRN
ზიანის შემსიჰების საქაჰთველოს ქსელი
GEORGIAN HARM REDUCTION NETWORK